ნაირა მამუკელაშვილი
ნინო როსტომაშვილი
ელზა გარაყანიძე

მუსიკა

IV კლასი

მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი

გამომცემლობა „პეგასი“

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

მუსიკა

IV კლასის
მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი

ავტორი	ნაირა მამუკელაშვილი ნინო როსტომაშვილი ელზა გარაყანიძე
რედაქტორი	ნათელა თუხარელი
დიზაინერ- დამკაბადონებელი	თინათინ არევაძე

გამომცემლობა „პეგასი“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 105 467; 597 029 031
ელ.ფოსტა: bookpefasus@gmail.com
www.pegasus.ge

© გამომცემლობა „პეგასი“, 2018
© ნაირა მამუკელაშვილი, ნინო როსტომაშვილი, ელზა გარაყანიძე, 2018

გამოცემის წელი და რიგითობა 2018 წელი
ISBN 978-9941-9524-7-0

სარჩევი

შესავალი 5
სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები 5
მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და მისი გამოყენების წესი 6
I თავი. გარე სამყარო მუსიკაში; მუსიკა და ტელევიზია 18
გაკვეთილები 1-9. ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდები 18
გაკვეთილები 10-12. ტელეგადაცემების ვოკალური მუსიკალური ქუდი 22
გაკვეთილი 13-16. მუსიკა სატელევიზიო ანონსის დროს 24
გაკვეთილები 17-19. სატელევიზიო გადაცემის ანონსი -კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი 25
გაკვეთილები 20-21 სატელევიზიო გადაცემა - ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი 27
გაკვეთილები 22-25. სატელევიზიო გადაცემის ანონსი - კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე 27
გაკვეთილი 26. შემაჯამებელი 29
გაკვეთილი 27-28 სატელევიზიო გადაცემა - „თბილისის მოტრფიალენი“ 31
II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა; მუსიკა და თავისუფალი დრო 32
გაკვეთილები 29-32. აქტიური და პასიური დასვენება 32
გაკვეთილები 33 - 41. მუსიკა ხალხის თავშეყრის ადგილებში 35
გაკვეთილი 42. შემაჯამებელი 41
III თავი. მუსიკა და კინო; მუსიკის როლი ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში 42
გაკვეთილები 43-44 „დათუნია“ და „ძაღლი რექსი“ 42
გაკვეთილები 45-46. ანიმაციური ფილმი „ზაქრო და შაქრო“ 43
გაკვეთილები 47-48. ანიმაციური ფილმი „მისტერ ბინი“ 44
გაკვეთილები 49-51. ანიმაციური ფილმი „მანქანები“ 45
გაკვეთიებლი 52-53. ანიმაციური ფილმი „მოანა“ 46
გაკვეთილები 54-55. ქართული მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“ 47
გაკვეთილი 56. შემაჯამებელი 47
IV თავი. ეთნოგრაფია და მუსიკა; სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა 49
გაკვეთილი 57-59. ქართულ ხალხური სიმღერები და რიტუალები 49
გაკვეთილები 60-62. რიტუალები სხვადასხვა ხალხის საცეკვაო მუსიკაში 50
გაკვეთილები 63-64. სატელევიზიო გადაცემის ანონსი „სხვადასხვა ხალხის სარიტუალო სიმღერები და ცეკვები“ 52
გაკვეთილი 65. შემაჯამებელი 52
სასიმღერო რეპერტუარი 54
აუდიო/ვიდეო მასალის ჩამონათვალი 55
მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი 58
სანოტო დანართი 60
LMMS პროგრამით სარგებლობის ინსტრუქცია 89

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

მუსიკის IV კლასის მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი აგებულია ესგ-ზე დაყრდნობით მუსიკის სტანდარტით გათვალისწინებულ თემატიკაზე. წიგნი მოიცავს ოთხ თავს: I თავი. გარე სამყარო მუსიკაში; II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა. III თავი. მუსიკა და კინო. IV თავი. ეთნოგრაფია და მუსიკა თავები დაყოფილია გაკვეთილებად.

თავების მიხედვით განხილულია ოთხი სასწავლო თემა:

მუსიკა და ტელევიზია;

მუსიკა და თავისუფალი დრო;

მუსიკის როლი ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში;

სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა.

I თავის თემა – „მუსიკა და ტელევიზია“, მოიცავს 28 გაკვეთილს:

II თავის თემა – „მუსიკა და ჩვენი ყოფა“ წარმოდგენილია 14 გაკვეთილით;

III თავის თემა – „მუსიკის როლი ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში“ შედგება 14 გაკვეთილისგან.

IV თავი. ეთნოგრაფია და მუსიკა მოიცავს 9 გაკვეთილს.

მუსიკის მეოთხე კლასის მასწავლებლის წიგნში გაკვეთილები წარმოდგენილია აქტივობების სახით, თითოეულ გაკვეთილში ძირითადად მოცემულია 3 აქტივობა. ყოველი აქტივობისთვის განსაზღვრულია წუთების რაოდენობა. წუთების ხანგრძლივობა პირობითია და სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.

ავტორთა ჯგუფმა გაითვალისწინა რა ის უდიდესი პოზიტიური ცვლილებები, რაც განხორციელდა მუსიკის სტანდარტთან მიმართებაში, აგრეთვე სიახლეები, რომლებიც ახასიათებს მუსიკის სტანდარტს, მასწავლებელთა მუშაობის გაადვილების მიზნით, გადაწყვეტილება მიიღო მასწავლებლის წიგნში შეეტანა მოსწავლის წიგნის მოცემული თითოეული გაკვეთილის სცენარი. ამდენად, მუსიკის მეოთხე კლასის მასწავლებლის წიგნი აგებულია შემდეგ თემატიკაზე:

I თავი. გარე სამყარო მუსიკაში მუსიკა და ტელევიზია

გაკვეთილები 1-9. ტელეგადაცემის მუსიკალური ქუდები

გაკვეთილები 9-12. ტელეგადაცემის ვოკალური მუსიკალური ქუდი

გაკვეთილი 13-16. მუსიკა სატელევიზიო ანონსის დროს

გაკვეთილები 17-19. სატელევიზიო გადაცემის ანონსი – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

გაკვეთილები 20-21. სატელევიზიო გადაცემა – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

გაკვეთილები 22-25. სატელევიზიო გადაცემის ანონსი – რევაზ ლაღიძე

გაკვეთილი 26. შემაჯამებელი

გაკვეთილი 27-28. სატელევიზიო გადაცემა – „თბილისის მოტრფიალენი“

II თავი. მუსიკა და ჩვენი ყოფა; მუსიკა და თავისუფალი დრო

გაკვეთილები 29-32. აქტიური და პასიური დასვენება

გაკვეთილები 33-41. მუსიკა ხალხის თავშეყრის ადგილებში

გაკვეთილი 42. შემაჯამებელი

III თავი. მუსიკა და კინო მუსიკის როლი ანიმაციასა და საყმაწვილო კინოში

გაკვეთილები 43-44 „დათვი“ და „ძაღლი რექსი“

გაკვეთილები 45-46. „ზაქრო და შაქრო“

გაკვეთილები 47-48. „მისტერ ბინი“

გაკვეთილები 49-51. „მანქანები“

გაკვეთილები 52-53. „მოანა“

გაკვეთილები 54-55. ქართული მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“

გაკვეთილი 56. შემაჯამებელი

IV თავი. ეთნოგრაფია და მუსიკა სხვადასხვა ხალხის რიტუალები და მუსიკა

გაკვეთილები 57-59. ქართული ხალხური სიმღერები და რიტუალები

გაკვეთილები 60-62. რიტუალები სხვადასხვა ხალხის საცეკვაო მუსიკაში

გაკვეთილები 63-64. სატელევიზიო გადაცემის ანონსი „სხვადასხვა ხალხის სარიტუალო სიმღერები და ცეკვები“

გაკვეთილი 65. შემაჯამებელი

შესავალი

ადამიანზე, მის გრძნობებსა და განცდებზე მუსიკის ზემოქმედების განსაკუთრებული ძალა უდავოა, ამდენად, მუსიკალური აღზრდა მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. მუსიკის სასკოლო სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო სპეციალური მუსიკალური მონაცემების, ნიჭისა და უნარის მრავალმხრივ განვითარებას, არამედ დადებითი ზემოქმედება მოახდინოს პიროვნების, მისი აზრებისა და შეხედულებების, მისი სულიერი სამყაროს ფორმირებისას.

მუსიკის, როგორც საგნის, მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დაწყებით საფეხურზე მაშინ როდესაც ბავშვის ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები ბოლომდე არ გამოვლენილა და მათ გახსნა-წარმართვა სჭირდება. ამ ასაკში ბავშვს უჭირს მუსიკის აბსტრაქტული სახეების აღქმა და ორიენტირებისთვის მუსიკის აღსაქმელად ნაცნობი ხილული ანალოგიები სჭირდება. ამის განხორციელება შესაძლებელია მოსწავლისთვის ნაცნობი აქტივობებით – სიმღერა, ცეკვა, იმპროვიზაცია, თამაში, დაკვირვება და ა. შ., რომლებიც გარემოში არსებული ხილული სახეების მუსიკაში ამოცნობას ისახავს მიზნად. ეს კი, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას.

IV კლასის მუსიკის სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მისია:

ა) მუსიკის სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საბაზისო უნარების – წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა;

გ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის.

მუსიკის IV კლასის სახელმძღვანელო აგებულია ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით მოსწავლეს უნდა განუვითარდეს/ჩამოუყალიბდეს:

კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი;

ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;

ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები;

ენის, როგორც შემეცნების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების გამოყენების უნარი;

ინფორმაციის სხვადასხვა სიმბოლური ნიშნით გამოხატვის უნარი;

კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და კვლევის უნარები;

ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;

სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი;

საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების საფუძველზე არჩევანის გაკეთების უნარი; დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებისა და იდეების ქმედებაში განხორციელების უნარი;

გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრის უნარი რისკების გაცნობიერებით;

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, დამუშავების, შენახვის, გაზიარებისა და გაანალიზების უნარი.

სახელმძღვანელოს მიზნები და ამოცანები

IV კლასის მუსიკის სახელმძღვანელო მიზნად ისახავს:

1. უზრუნველყოს სიღრმისეული სწავლება: სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.

2. განუვითაროს მოსწავლეს წარმოსახვა, შემოქმედებით-ასოციაციური აზროვნება და ემოციური სფერო;

3. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ზნეობრივ-ესთეტიკური გრძნობებისა და მუსიკალური გემოვნების ფორმირებას;

4. გამოუმუშავოს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშებისა და მუსიკის აღქმის, შეფასების, გარემოს შეცნობისა და მისი მხატვრული ასახვის უნარები და ამით ხელი შეუწყოს თვითგამოხატვის განსხვავებული საშუალებებისა და ფორმების დაუფლებას;

5. დაეხმაროს მოსწავლეებს ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლასა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარებაში;

6. განუვითაროს მოსწავლეს მუსიკალური სმენა, სასიმღერო უნარ-ჩვევები, რიტმის გრძნობა;

7. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართვას შემოქმედებით მოღვაწეობაში;

8. მუსიკის სფეროში ცოდნის შეძენას, რომლის გარეშე შეუძლებელია მუსიკის აღქმა და მუსიკალური ნაწარმოების შესრულება;

9. შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს და დაეხმარება მათ საკუთარი თავის შემეცნებასა და საკუთარი ძალებისადმი რწმენის გამომუშავებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში და ა.შ.

სახელმძღვანელო ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული საკითხებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძებასა და განვითარებას, მოსწავლეთა მიზიდვას და მათი საქმიანობის სტიმულირებას, შემოქმედებით პროცესებში მათ აქტიურ ჩართვას. სახელმძღვანელოთი გათვალიწინებული მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შედეგად მოსწავლეებს განუვითარდებათ სასწავლო მასალის ათვისების ზოგადი და სპეციალური უნარ-ჩვევები.

მასწავლებლის წიგნის მიმოხილვა და მისი გამოყენების წესი

კომპლექტაციის შემადგენლობისა და გამოყენების ზოგადი მითითებები

მიუხედავად იმისა, რომ IV კლასში მუსიკის, როგორც საგნის, სწავლებაში გათვალისწინებულია მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნს მაინც ეკისრება უნივერსალური ფუნქცია. ამიტომ მასში დეტალურად არის გაწერილი ყოველი გაკვეთილის მსვლელობა. სახელმძღვანელოს ახლავს აუდიო და ვიდეომასალა, რომლებიც თავმოყრილია ყოველი შესაბამისი გაკვეთილისათვის გამიზნულ ელექტრონულ საქაღალდეში. საქაღალდეები დანომრილია და დასათაურებულია გაკვეთილების მიხედვით. ყოველი გაკვეთილის საქაღალდის გახსნის შემთხვევაში მასწავლებელი ნახავს აუდიო და ვიდეომასალას ამავე გაკვეთილის აქტივობების შესაბამისად.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის სპეციფიკა საგნის სწავლების პროცესში. საგნის სწავლებისა და დავალებების შესრულებისას გასათვალისწინებელი სამიზნე ასაკის თავისებურებები.

ყოველი მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს; სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული და აღიარებული. ამ ასაკის მოსწავლის სწავლების წარმატებით წარმართვისათვის, მნიშვნელოვანია მისი ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინება. ბავშვთა ემოციური და გონებრივი თავისებურებების, მათი მიდრეკილებებისა და ინეტერესების ცოდნა ეხმარება მასწავლებელს დაამყაროს კონტაქტი მოსწავლესთან, წარმართოს მათი განვითარება, ხელი შეუწყოს და განავითაროს მოსწავლის ყველა საუკეთესო თვისება, თავიდან აიცილოს მრავალი შეცდომა მათი სწავლებისა და აღზრდის საკითხში, რაც დიდ გავლენას მოახდენს ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე.

ამ ასაკის ბავშვი ფიზიკურად ენერგიულია, მას აქვს ჭარბი ენერგია, მაგრამ მისი ზრდის პროცესი არათანაბრად მიმდინარეობს, ამიტომ მას არ შეუძლია დიდხანს შეასრულოს დაძაბული ფიზიკური აქტივობა. მას სჭირდება დასვენების პერიოდები, ამასთან, სასწავლო საქმიანობა მოითხოვს კარგად განვითარებულ ყურადღებას. ბავშვს უნდა შეეძლოს წარმართოს ყურადღება სასწავლო ამოცანაზე, გარკვეული დროით შეინარჩუნოს ინტენსიური ყურადღება, გადაიტანოს იგი ერთი ობიექტიდან მეორეზე. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ნებისმიერი ყურადღება, სამაგიეროდ კარგად აქვს განვითარებული უნებლიე ყურადღება, ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო და ნათელი ადვილად ექცევა

მის თვალსაწიერში. მათ არ შეუძლიათ ყურადღების წარმართვა დიდხანს, ერთი მიმართულებით. თუ სამუშაო მონოტონურია, ბავშვი ვერ ასრულებს დავალებას, ამიტომ მუსიკის გაკვეთილების მსვლელობის დროს აუცილებელია საკლასო აქტივობები ისეთი თანმიმდევრობით აიგოს, რომ სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების გათვალისწინების გარდა, საშუალებას იძლეოდეს მოსწავლე გადაერთოს სხვა ტიპის საქმიანობაზე, რათა არ მოხდეს მისი ინტერესების, აქტიურობისა და ყურადღების დაქვეითება. საჭიროა გონებრივი აქტივობის ჩანაცვლება პრაქტიკული აქტივობებით (მოთელვითი სავარჯიშოები, სიმბოლოების ხატვა, სიმღერა, მუსიკალურ-რიტმული სავარჯიშოები, როლური თამაშები, ვერბალური და მუსიკალური ინტონაციური სავარჯიშოები და სხვ.). ყურადღებისა და აქტიურობის შენარჩუნებისთვის, ბავშვის აქტივობის ორგანიზებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია ისეთი მოტივაციის გამოყენება, როგორიცაა: მასწავლებლის შექება დავალების კარგად შესრულების გამო, დადებითი, განმავითარებელი შეფასების გამოყენება.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს ძალიან უყვართ თამაში. ამიტომ ხელოვნების რთული, აბსტრაქტული დარგის – მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მცირე დოზირებით, საკლასო აქტივობებში ისეთი მუსიკალური თამაშების უხვი გამოყენებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ახალი კონკრეტული ჩვევების დაუფლებაში.

IV კლასის მოსწავლის აღქმა არასაკმარისად დანაწევრებულია, ამიტომ ამ ასაკის ბავშვი ხანდახან ურევს მსგავსი მოხაზულობის მქონე ობიექტებს. ბავშვი აღიქვამს ნიშნის, სიმბოლოს ზოგად გამოსახულებას. მათი აღქმა განისაზღვრება პირველ რიგში თვითონ ობიექტის მახასიათებლებით, ბავშვები ამჩნევენ საგნის თვალშისაცემ მკვეთრ თვისებებს (ფერი, ფორმა, ზომა). ამასთან, მათთვის დამახასიათებელია თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება. ბავშვები უკეთესად იმახსოვრებენ კონკრეტულ საგნებს, მოვლენებს, სახეებს, ვიდრე განმარტებებსა და ახსნას. ამიტომ სასწავლო მასალის უკეთ დასამახსოვრებლად მუსიკის სწავლებისას გამოყენებული უნდა იქნეს დიდი რაოდენობით თვალსაჩინო მასალა. ამდენად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მუსიკის მეოთხე კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოსთვის სწორად იქნეს შერჩეული თვალსაჩინო მასალა: ნახატები და სურათები, რომლებსაც მოსწავლეები დააკვირდებიან გაკვეთილებზე, რაც მნიშვნელოვანწილად დაეხმარება მოსწავლეებს აღქმის ორგანიზებასა და განვითარებაში. აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველია მუსიკის გაკვეთილებზე ხშირად მივმართოთ ისეთ აქტივობებს, როდესაც მოსწავლეები თავად შეეცდებიან, კონკრეტული სიმბოლოების სახით, ნახატით გამოხატონ თვალით უხილავი, მოსმენილი აბსტრაქტული სახე-ხატები.

ძალზე მნიშვნელოვანია უმცროსი ასაკის მოსწავლეთა აღქმის დაკავშირება მოქმედებასთან, აღქმა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს მოსწავლის პრაქტიკულ საქმიანობას. მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, აღქმა ბავშვისათვის უნდა ნიშნავდეს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რაღაცის შეცვლას, კეთებას. ამიტომ მუსიკის სწავლებისას გაკვეთილზე დიდი დრო უნდა დაეთმოს პრაქტიკულ საქმიანობას, ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორებიცაა: სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მათი თანმიმდევრობით დალაგება, მსგავსება-განსხვავების პოვნა, სურათების მისადაგება მოსმენილ აბსტრაქტულ მუსიკალურ სახე-ხატებთან; ზღაპრების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, მოსმენილი ზღაპრებისა და მოთხრობების საკუთარი და სხვადასხვა ნივთის ხმებით გახმოვანება და გაფორმება.

ცნობილია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა შეიძლება ადვილად დაიმახსოვროს ობიექტურად აზრიანი, მაგრამ მისთვის გაუგებარი სიტყვები, ფრაზები. ამის მიზეზია ამ მისთვის უცნობი სიტყვების ჟღერადობისადმი მისი ემოციური დამოკიდებულება. მეოთხე კლასის ბავშვების მეხსიერების წამყვანი ფორმებია ემოციური და თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება. ამიტომ მუსიკის გაკვეთილებზე ისინი არ უნდა გადავტვირთოთ მუსიკალური ტერმინოლოგიის რთული განმარტებებით, უმჯობესია საკლასო აქტივობები ისე წარვმართოთ, რომ თვალში საცემი, მათთვის ნათლად გასაგები პრაქტიკული საქმიანობით ადვილად და მყარად დაიმახსოვრონ საინტერესო მასალა, რომელმაც პრაქტიკული საქმიანობის პროცესში მათზე ემოციური ზეგავლენა მოახდინა.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს გააჩნიათ ლოგიკური აზროვნების ნიშნები, ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ მუსიკის გაკვეთილებზე მეცადინეობისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას, რადგან 9-10 წლის ასაკის ბავშვის აზროვნების განვითარება მიმდინარეობს კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი. ბავშვს არ შეუძლია შეხედოს საკუთარ თავს სხვისი პოზიციიდან. ეგოცენტრიზმი არ აძლევს ბავშვს საშუალებას გაიგოს სხვისი გამოცდილება, რომელიც ვერბალურად არის გამოთქმული. ამდენად, ეგოცენტრიზმის დაძლევაში მუსიკის გაკვეთილებზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ზღაპრის მოყოლა და მისი გაფორმება სხვადასხვა მოქმედებების გამომხატველი ხმებით, როლური თამაშები და ურთიერთობა თანატოლებთან, სადაც მან თანაფარდობაში უნდა მოიყვანოს საკუთარი და სხვისი პოზიცია.

IV კლასის ბავშვის მეტყველების სემანტიკური მხარე შედარებით ღარიბია. სიტყვების მნიშვნელობას აკლია სიზუსტე, ხან ძალიან შევიწროებულია, ხან ზედმეტად ფართო. ბავშვებს სიტყვები ესმით პირდაპირი მნიშვნელობით. ამდენად, მუსიკალური ფრაგმენტების დახასიათებისას უმჯობესია მოსწავლეებს შევთავაზოთ სიტყვათა ჩამონათვალი, რომელთა შორისაც მუსიკალური ფრაგმენტების დახასიათებისათვის ისინი შეარჩევენ მათთვის მისაღებ სიტყვებს.

უმცროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა ფანტაზიაც განიცდის ცვლილებებს. მათთვის თავიდან დამახასიათებელია ფანტაზიის პასიური ფორმა (წაკითხულის ან მოსმენილის საფუძველზე წარმოდგენის შექმნა), ხოლო შემდეგ ვითარდება ფანტაზიის აქტიური ფორმა (ქმნის ახალ წარმოდგენას). ფანტაზიის განვითარების მაღალი დონის მისაღწევად მუსიკის გაკვეთილებზე ხშირად უნდა მივმართოთ ისეთ აქტივობებს, როდესაც მათ საშუალება ეძლევათ დაასრულონ მათთვის უცნობი ზღაპარი და მოთხრობა. გაიმღერონ მუსიკალური მოტივები, შემდეგ კი გააგრძელონ და განავითარონ მელოდია...

უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება არა მხოლოდ შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები, არამედ იქმნება ახალი პირობები ბავშვის პიროვნული ზრდისთვის. პიროვნულ ზრდაზე გავლენას ახდენს სასწავლო და თამაშის სიტუაცია, შრომითი აქტივობა და ურთიერთობები. 9-10 წლის ასაკში ბავშვი სოციალურად მეგობრულია. მას უყვარს ჯგუფურ აქტივობებში და თამაშებში მონაწილეობა. ამდენად, ჩვენი მუსიკის IV კლასის სახელმძღვანელოში ხშირად მივმართავთ აქტივობებს ჯგუფებისა და რიგების მონაწილეობით. ეს ავითარებს თანამშრომლობის გრძნობას, ამასთან, ბავშვი უფრო თვითდაჯერებული ხდება, ვინაიდან მისი ცალკეული წარუმატებლობები ზოგად ფონზე ნაკლებად შესამჩნევია.

მუსიკის, როგორც სასწავლო საგნის, სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ვერბალური და არავერბალური (სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის უნარის განვითარებაზე; ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის (მაგ., სიტყვიერ ტექსტში ან მუსიკალურ ნაწარმოებში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვის, სიტყვიერი ტექსტისა და ნახატის ერთმანეთთან დაკავშირების, სიტყვიერად გადმოცემული ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენისა და ა.შ.) უნარის განვითარებაზე .

მუსიკის IV კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით გაკვეთილებზე დასახული მიზნების განხორციელება შესაძლებელია მუსიკის გაკვეთილებზე მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შედეგად: სიმღერების შესწავლა, ვოკალური, რიტმული ან სხვა ტიპის განმავითარებელი სავარჯიშოების შესრულება; მოსწავლეები განივითარებენ სასწავლო მასალის ათვისების უნარს, ზოგად და სპეციალურ უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილებზე მოსწავლეები მოისმენენ ხალხური და კლასიკური მუსიკის მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, ისაუბრებენ და იმსჯელებენ მოსმენილი მასალის შესახებ; მუსიკის გაკვეთილებზე მოხდება მოსწავლეთა ინტერესისა და შემოქმედებითი საწყისის გაღვიძება.

უნარ-ჩვევები. მუსიკის გაკვეთილებზე სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობების შედეგად მოსწავლეები შეიძენენ სხვადასხვა სახის სპეციალურ უნარ-ჩვევებს:

1. მუსიკის მოსმენის უნარ-ჩვევები. დღევანდელი მოსწავლე მომავალში უნდა გახდეს მსმენელი, რომელმაც უნდა გამოხატოს ინტერესი მუსიკალური ხელოვნების მიმართ და გამოავლინოს გემოვნება ამ მიმართულებით. ჩვენს მოსწავლეებს, მომავალ მსმენელებს, უნდა შეეძლოთ იმ მრავალფეროვან მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის, რომლებიც ჩვენ გარშემო ისმის, გამოარჩიონ ყველაზე ღირსეული, სათანადოდ შეაფასონ და მიიღონ სიამოვნება მისი მოსმენით.

2. საშემსრულებლო მოღვაწეობის უნარ-ჩვევები (სოლო და გუნდური სიმღერა, მუზიცირება და ინსცენირება). საშემსრულებლო მოღვაწეობის დროს ინტენსიურად ვითარდება მუსიკალურ-

შემოქმედებითი მონაცემები, ფართოვდება მუსიკის აქტიური აღქმის შესაძლებლობები. მოსწავლეებს უვითარდებათ იმპროვიზაციის უნარ-ჩვევები.

მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის, მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მუსიკის სახელმძღვანელოში დიდი ადგილი ეთმობა საგანთაშორის კავშირებს, სახელმძღვანელო აგებულია ინტეგრირებული სწავლების პრინციპებზე.

სახელმძღვანელო უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობაში.

მუსიკის, როგორც სასკოლო საგნის, სწავლებისათვის მასწავლებელმა აქტიურად უნდა გამოიყენოს ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული პროგრამები: LMMS და AUDACITI. აუცილებელია აგრეთვე მასწავლებელმა აქტიურად გამოიყენოს აუდიო/ვიდეომასალა, რომლებიც წარმოდგენილია ყოველი გაკვეთილის ცალკეული აქტივობებისათვის.

მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

სახელმძღვანელოს თავები წარმოდგენილია თემების სახით, თემები კი თავის მხრივ მოიცავს გაკვეთილებს. თემის ფარგლებში წარმოდგენილი გაკვეთილების საშუალებით თანმიმდევრულად ხორციელდება შესწავლის მოტივაციის შექმნა, მასალის ათვისების შუალედური შემოწმება/შეფასება, შემაჯამებელი დავალებებით თემის სრული მასალის შეჯერება, მოსწავლეთა თვითშეფასება.

მასალის ათვისების შემოწმება/შეფასების მექანიზმის პრაქტიკული განხორციელების მიზნით სახელმძღვანელო ეყრდნობა ესგ-ის მოსწავლის შეფასების სისტემას (თავი VII):

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება კლასში

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

მუხლი 29. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.
შემფასებელი და შეფასების ფორმები	**მასწავლებელი:** ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. **მოსწავლეები:** თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.

მუხლი 31. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

მუხლი 32. მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:
ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:
ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

4. ამ მუხლის მე-3 პუქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

შეფასება მუსიკაში

საგან მუსიკაში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც ავთენტური შეფასების პრინციპებს ემყარება. საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს:

1. **შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა:** მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების, მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა;

ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას	კომპოზიციის შექმნისთვის შეუძლია მხოლოდ საჭირო ნაწილების გამოყენება.	მოიძებული მუსიკალური კომპოზიციის ნაწილებით ქმნის დასურულებელ კომპოზიციას.	მრავალფეროვანი მოძიებული მასალებით ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას. შექმნის პროცესში იყენებს შესაბამის კომპიუტერულ პროგრამას, ბიტებეს, სხვადასხვა ეფექტებსა და ინსტრუმენტებს. იმპროვიზირებს.
ქმნის მუსიკალურ თანხლებას	მუსუკალური თანხლების შესაქმნელად არჩევს ინსტრუმენტებს.	მუსუკალური თანხლების შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს, შეუძლია მცირედი ეფექტების გამოყენება.	მუსიკალური თანხლების შექმნისას იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს, იმპროვიზაციას, რთვას სხვადასხვა ინსტრუმენტებს, ეფექტებს.
მუსიკალური ლოგოტიპის შექმნა	ლოგოტიპის შექმნისას იყენებს მხოლოდ ერთ სიმბოლოს.	მუსიკალური ლოგოტიპის შექმნისას იყენებს ორ ან სამ სიმბოლოს.	მუსიკალური მრავალფეროვან სიმბოლიკის გამოყენებით ქმნის ლოგოტიპს.

2. **საკლასო აქტივობებში ჩართულობა**

აქტიური მონაწილეობა	საგაკვეთილო პროცესში იშვიათად მონაწილეობს მსჯელობაში.	ხშირად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში და მეტნაკლებად ერთვება მსჯელობაში.	მაქსიმალურად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და ყოველთვის მონაწილეობს მსჯელობაში.
საკუთარი აზრის დასაბუთბულად წარმოდგენა	უჭირს გამართულად საუბარი, ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს	თითქმის ყოველთვის ასაბუთბს საკუთარ აზრს.	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას.
სხვისი აზრის პატივისცემის დემონსტრირება	არ უსმენს სხვებს და არ აცდის აზრის დასრულებას.	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამთავრებას.	უსმენს სხვების მოსაზრებებს. კორექტულია და ამჟღავნებს პატივისცემას სხვისი აზრის მიმართ.

ინფორმაციის მოძიების წყაროები	იყენებს მხოლოდ საკუთარ ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელ ოში მოცემულ ინფორმაციას	იყენებს მრავალფეროვ ან საინფორმაციო საშუალებებს

მოპოვებული ინ-ფორმაციის ორგა-ნიზებულობა	მასალა არ არის საკითხის შესაბამისი	მასალა ნაწილობრივ შეესაბამება საკითხს	მასალა სრუ-ლიად შეესაბამება საკითხს
მოძიებული ინფორ-მაციის ანალიზი	ვერ იყენებს სკოლის მასალას მიზნო-ბრივად	ნაწილობრივ მიზნო-ბრივად იყენებს მოძიებულ მასალას.	მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას

ინფორმაციის **მოძიება და პრეზენტაციის** მომზადება;

3. იმპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება: მოტივის და ცალკეული ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტების შექმნა და მათი სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება;

მპროვიზაციული სავარჯიშოების შესრულება	შეუძლია მხოლოდ ერთი მოტივის გამოყ-ენება. ვერ ასრულებს მრავალფეროვან სა-ვარჯიშოებს.	შეუძლია ორი ან სამი მოტივისა და ინტონა-ციის გამოყენება სხ-ვადასხვა სავარჯიშოე-ბის შესრულებისას.	მრავალფეროვანი მო-ტივებისა და სხვადასხვა ინ-ტონაციების გამოყენებით ქმნის იმპროვიზაციულ სა-ვარჯიშოებს.
იმპროვიზაციული სავარჯიშების სხ-ვადასხვა კონტე-ქსტში გამოყენება	მხოლოდ ერთი მო-ტივის გამოყენებით შესრულებულ სა-ვარჯიშოს ვერ ასრუ-ლებს სხვადსხვა კონ-ტექსტში.	რამოდენიმე მოტი-ვის გამოყენებით შეს-რულებლ სავარჯიშო იყენებს სხვადასხვა კონტექსტში.	მრავალფეროვანი მო-ტივებისა და სხვადასხვა ინ-ტონაციების გამოყენებით შექმნილ სავარჯიშოებს იყენებს სხვადასხვა კონ-ტექსტში/ იმპროვიზირებს.

4. მოთხრობის, ფოტოების, ანიმაციური/მხატვრული ფილმის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის **განხილვა** და მათი **მუსიკალური ანალოგიების** შექმნა

მოთხრობის, ფოტოე-ბის, ანიმაციური/ მხატვრული ფილ-მის, ვიდეორგოლის, მუსიკალური კლიპის, ყოფითი შემთხვევის განხილვა; **მუსიკალური ანალო-გიების შექმნა**	უჭირს შედარება და აღმოჩენა მსგავსები-სა და განსხვავების. ვერ აყალიბებს მახ-ასიათებლებს. ვერ ქმნის მუსიკალურ ანალოგიებს.	ადარებს, ზოგადად აყალიბებს მახასიათ-ბლებს. ნაწილობრივ ქმნის მუსიკალურ ანალოგიებს.	ადარებს და აღმოაჩენს მსგავსებასა და განსხ-ვავებას. ნათლად აყა-ლიბებს მახასიათბელებს. ირჩევს რომელი მახას-აითებელების მიხედვით შეადაროს საგნები თუ მოვლენები. ქმნის სრუ-ლყოფილ მუსიკალურ ანალოგიებს.

5. **დისკუსია** (დებატი)

მოსმენა	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყ-ურებს ორატორს	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს
საუბარი	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს
არავერბალ-ური **კომუნიკა-ცია**	იშვიათად იყენებს არა-ვერბალურ კომუნიკაციის ფორმებს	ხშირად შეუძლია დაა-მყაროს არავერბალური კონტაქტი	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კო-მუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით
მონაწილეო-ბა	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავ-შირებს თავის მოსაზრე-ბებს სადისკუსიო თემას	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით

კოოპერაცია	იშვიათად თანამშრომ-ლობს და იცავს დისკუ-სიის წესებს	ძირითადად თანამშრომ-ლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	თანამშრომლობს თანაკ-ლასელებთან, აცლის სხ-ვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრების არგუმენ-ტირება	მოსაზრება მოკლებუ-ლია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით	მოსაზრების გასამყარე-ბლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება ორიგინალ-ურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან

6. **მოსწავლის თვითშეფასების კითხვარის სარეკომენდაციო ფორმა**

კრიტერიუმი	**დიახ**	**არა**	**ნაწილობრივ**
მომწონს მოსმენილი/ შესწავლილი ნაწარმოე-ბი/ სიმღერა			
ინტერესს ვამჟღავნებ გაკვეთილის მსვლელო-ბის მიმართ			
მონაწილეობას ვიღებ ჯგუფურ მუშაობაში			
აქტიურად ვერთვები საკ-ლასო დისკუსიაში			
ინტერესით ვქმნი მუსი-კალურ კომპოზიციას კომპიუტერულ პრო-გრამაში			
ვასრულებ მასწავლე-ბლის მიერ მოცემულ ინსტრუქციებს			
მიღებულ ცოდნას/ გამოცდილებას ვიყენებ სხვა გაკვეთილებზე.			

7. **ჯგუფის წევრების თვითშეფასების კითხვარის სარეკომენდაციო ფორმა**

კრიტერიუმები	**დიახ**	**არა**	**ნაწილობრივ**
აქტიურად ვიყავი ჩართული ჯგუ-ფის მუშაობაში			
ვიცავდი ჯგუფშ მუშაობის წესებს			
ჩემი მოსაზრება იყო მნიშ-ვნელოვანი			
ჯგუფის პრეზენტაცია იყო ორიგინალური და შეესაბამებოდა მოთხოვნას			
დაცული იყო დორის ლიმიტი			

8. **ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმები**

კრიტერიუმი	**არა დამაკმაყო-ფილებელი**	**დამაკმაყო-ფილებელი**	**კარგი**	**ძალიან კარგი**

1.მზაობა ჯგუფური მუშაობისათვის	არ შეუძლია დაკისრებული დავალების შესრულება, შესასრულებელი სამუშაოსათვის არ/ან ცუდად არის მომზადებული.	შესასრულებელი სამუშაოს შესახებ მისი ცოდნა ზედაპირულია. ხშირად უშვებს შეცდომებს	შესასრულებელი სამუშაოსათვის მომზადებულია. იშვიათად უშვებს შეცდომებს.	შესასრულებელი სამუშაოსათვის კარგად არის მომზადებული. არ უშვებს შეცდომებს
2. ჯგუფური სამუშაოს წარმართვა	ჯგუფის საქმიანობაში არ ღებულობს მონაწილეობას. დესტრუქციულია.	ჯგუფთან ზოგჯერ თანამშრომლობს კონსტრუქციულად.	ჯგუფთან მისი თანამშრომლობა უმეტესწილად კონსტრუქციულია.	ჯგუფთან მისი თანამშრომლობა ყოველთვის კონსტრუქციულია.
3. თანამშრომლობა	არ იზიარებს სხვის აზრებს. ვერ თანამშრომლობს	ნაწილობრივ მიდის კომპრომისზე. ხშირ შემთხვევაში თანამშრომლობს.	აზრების შეჯერების შემდეგ შეუძლია კომპრომისზე წასვლა. თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან.	ყოველთვის აზრების შეჯერების შემდეგ შეუძლია კომპრომისზე წასვლა. თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან.
4. სამუშაოს სწორად და დროულად შესრულება	სამუშაოს ასრულებს არამიზანმიმართულად და დაგვიანებით.	სამუშაოს ნაწილობრივ ასრულებს დროულად, მაგრამ არამიზანმიმართულად ან პირიქით.	სამუშაოს ხშირ შემთხვევაში ასრულებს დროულად, და მიზანმიმართულად.	სამუშაოს ასრულებს ყოველთვის დროულად და მიზანმიმართულად

მოსწავლეზე ინდივიდუალური დაკვირვების წარმოების სარეკომენდაციო ფორმა

სახელი	
გვარი	
კლასი IV	
თავი I გარე სამყარო მუსიკაში	**თემა :** მუსიკა და ტელევიზია
თარიღი	
დავალების პირობა	მუსიკალური კომპოზიციის, თანხლების შექმნა;
კრიტერიუმი	**კომენტარი**
ქმნის მუსიკალურ კომპოზიციას	მრავალფეროვანი გახმოვანებული ხმებით შექმნა მუსიკალური კომპოზიცია. შექმნის პროცესში გამოიყენოს ხმის სხვადასხვა ეფექტები და იმპროვიზირება.

ჯგუფური მუშაობის დაკვირვების ჩანაწერების დაფა

კლასი
თარიღი
თემა

ჯგუ-ფის №	№	მოსწავლის გვარი და სახელი	მზაობა ჯგუფური მუშაო-ბისათვის		ჯგუფური სამუშაოს წარმართვა		თანამშრომ-ლობა		სამუშაოს სწორად და დროულად შესრულება		კომენტარი
1	1										
	2										
	3										
	4										
	5										
	6										
2	7										
	8										
	9										
	10										
	11										
	12										
3	13										
	14										
	15										
	16										
	17										
	18										
4	19										
	20										
	21										
	22										
	23										
	24										
5	25										
	26										
	27										
	28										
	29										
	30										

+ ჩართულია
– არ არის ჩართული
V გააუმჯობესა ჩართულობა

მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს თემატური ბლოკები მოიცავს: წინარე ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე თემის მასალის შესასწავლად, დამყარებულია მჭიდრო კავშირი სხვა სასწავლო საგნებთან თემატურ ჭრილში (სხვა საგნებში ნასწავლ

მასალასთან) და პრაქტიკულ საკითხებთან/ყოველდღიურ ცხოვრებასთან;

მასწავლებლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ყველა გაკვეთილის სარეკომენდაციო სცენარი (მათ შორის სხვადასხვა ტიპის გაკვეთილი), ასევე სხვადასხვა სახის შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და მოსწავლის შეფასების მექანიზმები.

გაკვეთილების სარეკომენდაციო სცენარები მოიცავს:

გაკვეთილის თემის მიზნებს ესგ-ის სტანდარტის შედეგთან/შედეგებთან მჭიდრო კავშირში ინდიკატორების მითითებით;

აქტივობებსა და შესაბამის რესურსებს, გაკვეთილის ორგანიზების ფორმებს;

ტიპურ დავალებებს, მრავალფეროვან სავარჯიშოებს, რომლებიც წარმოდგენილია განვითარებისა და გართულების გზით;

ესგ-ს შესაბამისად მუსიკის მეოთხე კლასის სახელმძღვანელოს მიხედვით მუსიკის სწავლება ორი მიმართულება იშლება და მიმდინარეობს პარალელურად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

1. შემოქმედობითობა და პრაქტიკა

ამ მიმართულების უშუალო მიზანია მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარება. მოსწავლე ეუფლება გარე სამყაროში არსებული მოვლენების, სახეების მუსიკალური გამოხატვის სხვადასხვა ფორმას და გამომსახველობით ხერხს; მას უვითარდება პრაქტიკული უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი თავის აღმოჩენაში, გამოხატვასა და განვითარებაში: მღერის, უკრავს, ცდილობს შექმნას მუსიკა – მარტივი მელოდიურ-რიტმული კომპოზიციები. მხატვრული სახის, განწყობილების, ემოციის გადმოცემისას მოსწავლე იყენებს და ეუფლება ხელოვნების სხვა დარგების გამომსახველობით საშუალებებსაც – ცეკვავს, გაითამაშებს თეატრალურ ეტიუდებსა და სცენებს, ხატავს, თხზავს ტექსტს.

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეს უვითარდება მუსიკალური სმენა და მეხსიერება, რიტმის გრძნობა, რასაც ხელს უწყობს რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები. მეოთხე კლასიდან ამას ემატება იმპროვიზაციული ელემენტები, რითიც შემოქმედებით საწყისს მეტი დატვირთვა ენიჭება. მოსწავლე პრაქტიკულად ეუფლება და იყენებს მუსიკალური ენის ნასწავლ ელემენტებს – განარჩევს და სხვადასხვა ხერხით გამოხატავს ბგერას, მეტრს, ტემპს, რეგისტრს, დინამიკურ ნიუანსებს, იმეორებს და აბოლოებს თანაკლასელის ან მასწავლებლის მიერ წამოწყებულ მელოდიას და ა. შ. მოსწავლე სწავლობს სიმღერას, ასევე სწავლობს მუსიკალურ დამწერლობას – ამოიცნობს, ჩაწერს და იყენებს ნასწავლ ნიშნებს.

შემოქმედებითი აქტივობების დროს – სიმღერა, დაკვრა, ცეკვა, პრეზენტაცია, სცენის გათამაშება – მოსწავლე წარდგება აუდიტორიის წინაშე, ეჩვევა და უყალიბდება წარდგენის, აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევა და ეჩვევა საკუთარი ემოციების, ქცევის მართვას. ეს აქტივობები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, როდესაც მოსწავლე პერსონალურადაა პასუხისმგებელი საკუთარ გამოსვლაზე ან ჯგუფური. ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობისას მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით თანამშრომლობაში, რომლის დროს საკუთარი ემოცია, თვალსაზრისი, ინტერპრეტაცია საერთო ხედვას უნდა შეუთანხმოს. მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა თანაგუნდელების მიმართ, ყალიბდება კოლექტივის წევრად და არ არღვევს გუნდის (სიმღერა, ცეკვა, ფერხული, სცენის გათამაშება) მთლიანობას.

ამავე მიმართულების ფარგლებში სასურველია მოსწავლე იყენებდეს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ისტ-ს) – აკეთებდეს აუდიოჩანაწერს; აუდიო და ვიდეო ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებდეს ინფორმაციის შესანახ მოწყობილობას; აჟღერებდეს ხმას, მუსიკალურ საკრავს ელექტრონულ გარემოში; შეარჩევდეს გამომსახველობით ხერხებს და ფონს მელოდიისთვის; იყენებდეს ჩაწერილ ხმას იმპროვიზაციის პროცესში.

2. მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მოსწავლე მუსიკის შესახებ მიღებულ ინფორმაციას აკავშირებს გარემოსთან, ყოველდღიურ მოვლენებთან და საკუთარ გამოცდილებასთან, სხვა საგნობრივ დისციპლინებთან. აღიქვამს მუსიკას, როგორც სამყაროს ნაწილს, იკვლევს და აკვირდება ხმის წარმოქმნის წყაროებს; ეჩვევა ხმოვან სამყაროსთან, მუსიკასთან კომუნიკაციას – მუსიკის მოსმენას, მუსიკისა და პერფორმანსის შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებით, წიგნიერი ენით და ქცევის ნორმების დაცვით.

კამათისა და მსჯელობის დროს მოსწავლე აცნობიერებს, რომ მუსიკა ყველა დროისა და ხალხის კულტურისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია. ეცნობა და პარალელს ავლებს ეროვნულ და მსოფლიო ხალხთა მუსიკალურ ტრადიციებს შორის. ქართულ ხალხურ საკრავებს აკავშირებს სხვა ერების ხალხურ საკრავებთან. მოსწავლე განასხვავებს ქართულ და მსოფლიო ხალხურ, კლასიკურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ინფორმაცია მოსწავლის წიგნის შესახებ

მეოთხე კლასის მოსწავლის წიგნი აგებულია მუსიკის სტანდარტით გათვალისწინებულ თემატიკაზე. მოსწავლის წიგნი, ისევე როგორც მასწავლებლის წიგნი, მიზნად ისახავს მუსიკის სტანდარტის შედეგების რეალიზებას მიმართულებების მიხედვით: მიმართულების – შემოქმედებითობა და პრაქტიკა – შესაბამისად, სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ:

გარე სამყაროში ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი ხმის, ბგერის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) გამოყენება გარკვეული ემოციური მდგომარეობის გადმოსაცემად;

ხმის, ხმაურის, მღერის და მუსიკალური ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) მეშვეობით გარე სამყაროს ასახვა;

ხმოვანი გზავნილის სხვადასხვა სიმბოლოთი ჩაწერა.

მიმართულების – მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია – შესაბამისად, სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ:

მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების

(მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;

ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა

და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;

ხალხური მუსიკის თავისებურებების ამოცნობა.

ესგ-ს მოთხოვნათა შესაბამისად, მესამე კლასის მოსწავლის მუსიკის სახელმძღვანელოს მიხედვით მუსიკის სწავლება ორი მიმართულებით იშლება და მიმდინარეობს პარალელურად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

სახელმძღვანელოში მუსიკის, როგორც საგნის, სწავლა-სწავლების პროცესი წარმართულია შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

1. მუსიკალური ენის ძირითადი ელემენტები: რიტმი, მელოდია;
2. მუსიკალური ენის არაძირითადი ელემენტები: ტემპი, რეგისტრი, ტემბრი, ფაქტურა;
3. მეტრი: ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი;
4. ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ხმები;
5. ბგერის თვისებები: სიმაღლე, სიძლიერე, გრძლიობა, ტემბრი;
6. მელოდიის შემადგენელი ნაწილები: ინტონაცია, მოტივი;
7. საკომპოზიციო ხერხები: რიტმული და მელოდიური ოსტინატო, რიტმული და მელოდიური მონაცვლეობა, მუსიკალური კოლაჟი.

სახელმძღვანელოს თავები წარმოდგენილია თემების სახით, თემები მოიცავს პარაგრაფებს, პარაგრაფები კი თავის მხრის შედგება გაკვეთილებისაგან. თემის ფარგლებში წარმოდგენილი გაკვეთილების საშუალებით თანმიმდევრულად ხორციელდება შესწავლის მოტივაციის შექმნა, მასალის ათვისების შუალედური შემოწმება/შეფასება, შემაჯამებელი დავალებებით თემის სრული მასალის შეჯერება, მოსწავლეთა თვითშეფასება.

თემატური ბლოკები მოიცავს: წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც უნდა ფლობდეს მოსწავლე თემის მასალის შესასწავლად, დამყარებულია მჭიდრო კავშირი სხვა სასწავლო საგნებთან თემატურ ჭრილში.

გაკვეთილების სარეკომენდაციო სცენარები მოიცავს:

გაკვეთილის თემის მიზნებს ესგ-ის სტანდარტის შედეგთან/შედეგებთან მჭიდრო კავშირში ინდიკატორების მითითებით;

აქტივობებსა და შესაბამის რესურსებს, გაკვეთილის ორგანიზების ფორმებს;

ტიპურ დავალებებს, მრავალფეროვან სავარჯიშოებს, რომლებიც წარმოდგენილია განვითარებისა და გართულების გზით.

იმისათვის, რათა მოსწავლეებმა ადვილად მოახდინონ ორიენტირება სახელმძღვანელოს საგაკვეთილო მასალაში, გამოყენებული გვაქვს რვა სიმბოლო. ეს სიმბოლოებია: 1. კითხვები და

დავალებები, 2. მოისმინეთ მუსიკა, 3. შეისწავლეთ სიმღერა, 4. მუშაობა ჯგუფებში, 5. იმუშავეთ პერსონალურ კომპიუტერებში, 6. უყურეთ ვიდეოს, 7. წაიკითხეთ ტექსტი. 8. რიტმული სავარჯიშო.

სახელმძღვანელოს ახლავს აუდიო და ვიდეომასალა ელექტრონული რესურსის სახით.

I თავი. გარე სამყარო მუსიკაში; მუსიკა და ტელევიზია

გაკვეთილები 1–9. ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდები

გამყვანი კითხვები:

1. როგორ მოქმედებს მუსიკა ტელემაყურებლის ემოციაზე? მუს.დაწყ.(I).4,5,6;
2. როგორ უნდა შევარჩიოთ მუსიკა ტელეპროგრამისათვის?მუს.დაწყ.(I).1,2;
3. როგორ შეიძლება ჩაიწეროს გადაცემის ქუდი? მუს.დაწყ.(I).3 .

დასამუშავებელი ცნებები:

მუსიკალური ფრაზა, ხმის ეფექტები, ტემბრი, მუსიკალური ფაქტურა.

გაკვეთილი 1

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

მასწავლებელი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, ყოველი გაკვეთილის დასაწყისში მოთელვისათვის გამოყოფს ხუთ წუთს. მოთელვა ჩატარდება ხან სხვადასხვა რიტმული ფიგურაციის სავარჯიშოების სახით, ხან კი მელოდიური ხაზის მდორე თუ ნახტომისებური მოძრაობების გამღერების სახით ტაშის თანხლებით. მოთელვითი სავარჯიშოების შესრულების დროს მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეუჩერებლად აჰყვნენ მას.

საწყის ეტაპზე (გაკვეთილები 1-10) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეასრულებს მოთელვით რიტმულ სავარჯიშოებს ორწილადი მეტრით, იხილეთ მოსწავლის სახელმძღვანელო, გვ. 5-8. ყოველ მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეთა განვითარების დონის შესაბამისად თანდათან გაართულებს მოთელვითი სავარჯიშოების რიტმულ ფიგურაციებს.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ მოსწავლის სახელმძღვანელო და გაეცნონ მის სტრუქტურას. იგი მიმართავს მოსწავლეებს: სახელმძღვანელოში მესამე გვერდზე წარმოდგენილია სარჩევი, რომელიც გაგარკვევთ, რა თემებს გაეცნობით და რა საკითხების გარშემო ისაუბრებთ მუსიკის გაკვეთილებზე. იმავე გვერდზე თქვენ ნახავთ განმარტებებს. აქ მოცემულია პირობითი ნიშნები, რომლებიც მიგვითითებს, რა აქტივობებს ჩავატარებთ გაკვეთილებზე. სულ 8 პირობითი ნიშანია. გთხოვთ, დააკვირდით ყოველ პირობით ნიშანს, წაიკითხეთ მათ გვერდით მოცემული განმარტებები და იმსჯელეთ, რას გავაკეთებთ მუსიკის გაკვეთილებზე. გამოთქვით ვარაუდები, როგორ სახეს მიიღებს მუსიკის გაკვეთილები: საინტერესო იქნება თუ არა ამ აქტივობების ჩატარება. მოსწავლეები მსჯელობენ და გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს, ვარაუდებს, მოლოდინებს.

მასწავლებელი აგრძელებს მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოს გაცნობას: თქვენი მუსიკის სახელმძღვანელო ოთხი თავისაგან შედგება, ყოველი თავის წინ მოცემულია მოკლე ჩამონათვალი, თუ რას შეისწავლით და რას შეძლებთ ამ თავის გაცნობის შემდეგ. ამას გარდა. სახელმძღვანელოს დართული აქვს მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი, რომელიც საშუალებას მოგცემთ, გაეცნოთ თქვენთვის საინტერესო ტერმინების განმარტებებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელოს მეოთხე გვერდი და წაიკითხონ ტექსტი:

I თავი. გარე სამყარო მუსიკაში
მუსიკა და ტელევიზია
ამ გაკვეთილებზე თქვენ გაეცნობით: როგორ მოქმედებს მუსიკა ტელემაყურებლის ემოციაზე.
როგორ უნდა შევარჩიოთ მუსიკა ტელეპროგრამისათვის.
თქვენ შეძლებთ:
გააკეთოთ ტელეგადაცემის მუსიკალური ქუდი და
თვით ტელეგადაცემა
გამოიყენოთ კომპიუტერული პროგრამა ამ მიზნით.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სურათს სახელმძღვანელოში და განსაზღვრონ, რა ტიპის გადაცემას უყურებენ ოჯახის წევრები, შემდეგ განმარტონ, რატომ ფიქრობენ ასე. მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მათ ნაცნობი ტელეგადაცემების მუსიკალურ ქუდებს: „მოამბე“, „ძილი ნებისა“, „გააცინე და მოიგე“, „სპორტის დრო“. მოსმენილი მუსიკალური ქუდების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ გადაცემები. მასწავლებელი მათ განუმარტავს, რომ მათ მიერ მოსმენილი მუსიკალური მასალა იყო ტელეგადაცემების მუსიკალური ქუდები.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, წაიკითხონ სახელმძღვანელოში (გვ. 5.) მოცემული ინფორმაცია ტელეგადაცემათა ჟანრების შესახებ. იმსჯელონ, რამდენად განსაზღვრავს ტელეგადაცემების ჟანრი მუსიკალურ ქუდს; რა მნიშვნელობა აქვს მუსიკალურ ქუდს გადაცემის აღქმის თვალსაზრისით.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი განმეორებით სთავაზობს მოსწავლეებს იმავე, ნაცნობ ტელეგადაცემების მუსიკალურ ქუდებს: „მოამბე“, „ძილი ნებისა“, „გააცინე და მოიგე“, „სპორტის დრო“. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რამდენად შეესაბამება ამ გადაცემებს თავიანთი მუსიკალური ქუდები.

გაკვეთილი 2

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა, ვიდეომასალა, პროექტორი, ეკრანი.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ და ამოიცნონ, რა ტიპის სატელევიზიო გადაცემებია ასახული სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სურათებზე (გვ. 6), შემდეგ შეარჩიონ ის სიტყვები, რომლებიც მოუხდებოდა ამ გადაცემების მუსიკალურ ქუდებს: საზეიმო, ენერგიული, დიდებული, წყნარი, მშვიდი, ამაღელვებელი.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ნაცნობი სატელევიზიო გადაცემების მუსიკალურ ქუდებს (იგულისხმება სხვა ტელეგადაცემები და არა ისინი, რომლებიც უკვე მოისმინეს წინა გაკვეთილზე) და სთხოვს მათ, გამოთქვან ვარაუდები, რა ჟანრის არის ესა თუ ის გადაცემა. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ სახელმძღვანელოში, გვ. 6, მოცემული ინფორმაცია სატელევიზიო გადაცემათა ჟანრების შესახებ და გაიხსენონ, რა ჟანრის გადაცემები უნახავთ ტელევიზიით.

აქტივობა 4 (10 წთ.).

მასწავლებელი განმეორებით აჩვენებს მოსწავლეებს იმავე ნაცნობი ტელეგადაცემების მუსიკალურ ქუდებს, მოსწავლეები მსჯელობენ და დაადგენენ, რა ჟანრის არის ესა თუ ის გადაცემა:

ინფორმაციული, გასართობი, სპორტული, საბავშვო თუ სხვა ტიპის და არკვევენ, რამდენად დაემთხვა პირველ აქტივობაში მათ მიერ გამოთქმული ვარაუდები მსჯელობის შედეგად მიღებულ დასკვნებს. მოსწავლეები მსჯელობენ, რა შინაარსი შეიძლება ჩაიდოს თითოეულ ამ გადაცემაში.

გაკვეთილი 3

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა, ვიდეომასალა, პროექტორი, ეკრანი.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი კვლავ სთავაზობს მოსწავლეებს ნაცნობი სხვა ტელეგადაცემების მუსიკალურ ქუდებს და სთხოვს მათ განსაზღვრონ, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ გადაცემების მუსიკალური ქუდები, როგორია მათი ხასიათი, ქრონომეტრაჟი და ა.შ. და გამოთქვან თავიანთი აზრი, რატომ აქვს ამა თუ იმ გადაცემას ესა თუ ის ქუდი.

აქტივობა 2 (10 წთ.).

ტელეგადაცემების მუსიკალურ ქუდების განმეორებითი ნახვის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს, ისინი დაახასიათებენ წინა აქტივობაში ნანახი ტელეგადაცემების მუსიკალურ ქუდებს და განმარტავენ, რით განსხვავდება ამ გადაცემების მუსიკალური ქუდები ერთმანეთისაგან, როგორია მათი ხასიათი, თანაბარია თუ არა მათი ქრონომეტრაჟი, რამდენად სწორად არის შერჩეული დრო გადაცემის მუსიკალური ქუდისათვის და ა.შ. მოსწავლეებმა თითოეულ მუსიკალურ ქუდს უნდა მოუძებნოს ახსნა, რატომ აქვს ამა თუ იმ გადაცემას ესა თუ ის ქუდი.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსმენილი მუსიკალური ქუდებიდან შეარჩევს ერთ-ერთს (ორწილადი მეტრით) და სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ტაშითა და დათვლით აჰყვნენ მუსიკას.

გაკვეთილი 4

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს უცნობი სატელევიზიო გადაცემების მუსიკალურ ქუდებს (მაგ.: სპორტული გადაცემა, საბავშვო საათი, საინფორმაციო გადაცემა) და სთხოვს მათ, უცნობი გადაცემების მუსიკალურ ქუდები მიუსადაგონ სახელმძღვანელოში ჩამოთვლილ გადაცემათა ჟანრებს. მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, სახელმძღვანელოში მოცემული სატელევიზიო გადაცემების სურათებიდან (გვ. 7), რომელს შეესაბამება ისინი. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რა ჟანრის გადაცემების სურათებია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში და განმარტონ, რატომ გადაწყვიტეს ასე.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს განმეორებით მოასმენინებს უცნობი სატელევიზიო გადაცემების მუსიკალურ ქუდებს. მისი თხოვნით მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან მოსაზრებები, რომელი მუსიკალური ქუდი რომელი ჟანრის ტელეგადაცემას უხდება. ისინი გამოთქვამენ ვარაუდებს, მსჯელობენ მოსმენილი მუსიკალური ქუდების ხასიათზე, განწყობაზე, მინიშნებებზე.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მოსწავლეებმა უნდა დაასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებები მინიშნებების შესახებ, მაგ.: რა მინიშნება შეიძლება ჰქონდეს საინფორმაციო გადაცემის მუსიკალურ ქუდს (შესაძლებელია ისმოდეს საათის ხმა), რა მინიშნება შეიძლება ჰქონდეს სპორტულ გადაცემას (შესაძლებელია ისმოდეს ენერგიული, დინამიკური, ხალისიანი მუსიკა და ა.შ.).

გაკვეთილი 5

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ი. გურგულიას სიმღერის - ,,ოდელია დელა'' მინუს ფონოგრამას და სთხოვს მათ განსაზღვრონ, რა ჟანრის ტელეგადაცემას მოუხდება ეს ეს მუსიკა, როგორც მუსიკალური ქუდი. მოსწავლეები იმსჯელებენ, გამოთქვამენ ვარაუდებს და დაასახელებენ ტელეგადაცემების ჟანრს (მაგ. საბავშვო გადაცემა).

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს იგივე სიმღერას და ჰკითხავს მათ: ხომ არ გეცნობათ სიმღერის მელოდია? მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი მღერის ი. გურგულიას სიმღერას: ,,ოდელია დელა'' და სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ მას. მოსწავლეები აჰყვებიან მას. ამგვარი მეთოდით შეისწავლიან სიმღერის ერთ სტროფს და მისამღერს.

აქტივობა 3 (15 წთ.).

მასწავლებელი კლასს დაყოფს რიგებად და დაუნაწილებს მათ სასიმღერო ,,პარტიებს'', პირველი რიგი იმღერებს სიმღერის პირველ სტროფს, მეორე - მისამღერს. რიგი, რომელიც მღერის, ფეხზე წამოდგება.

გაკვეთილი 6

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს მუსიკალურ ნაწყვეტს: ლ. ანდერსონის „ციგით სრიალი" – მუსიკალური ფრაზის დაუსრულებელ და დასრულებულ ვარიანტებს. იგი ეკითხება მოსწავლეებს, რომელ ნაწყვეტშია მუსიკალური თემა, მათი აზრით, დასრულებული და რომელში დაუსრულებელი? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს და ცდილობენ მათ დასაბუთებას.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებელი რამდენჯერმე მოასმენინებს მოსწავლეებს მუსიკალური თემის დასაწყისს. შემდეგ იგი მღერის ამ თემას და სთხოვს მოსწავლეებს, სიმღერით დაასრულონ იგი. მასწავლებელი ყველა მსურველს აძლევს საშუალებას წარმოადგინონ თავიანთი ვარიანტები.

გაკვეთილი 7

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი კვლავ იმღერებს წინა გაკვეთილზე მოსმენილი მუსიკალური თემის დასაწყისს, მოსწავლეები ხმით აჰყვებიან მას და გააგრძელებენ თემას. შემდეგ კომპიუტერულ პროგრამაში ჩაწერენ მუსიკალური თემის თავიანთ ვარიანტს და გააჟღერებენ კლასში.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეთა მიერ შექმნილი მუსიკალური თემებით გააკეთებს კოლაჟს და გააჟღერებს კლასში.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მოსწავლეები იმსჯელებენ: რომელი ტიპის გადაცემას მოუხდება მოსმენილი მუსიკალური თემა და მოსწავლეთა მუსიკალური თემებით შექმნილი კოლაჟი.

გაკვეთილი 8

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მოსწავლეები მასწავლებლის თხოვნით შეასრულებენ იმავე ტიპის დავალებას. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მუსიკალური თემის დასაწყისს და სთხოვს მათ, შეძლებისდაგვარად, დაასრულონ ის.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მოსწავლეები კლასში გააჟღერებენ თემის დასასრულის თავიანთ ვარიანტებს.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები განსაზღვრავენ, რომელი ტიპის გადაცემას მოუხდება ეს მუსიკალური თემა.

გაკვეთილი 9

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სემპლის სახით გადაუგზავნის დასრულებულ მუსიკალურ თემას. მოსწავლეებმა ამ თემას კომპიუტერში არსებული ბიტებიდან უნდა შეურჩიონ სათანადო თანხლება.

აქტივობა 2 (10 წთ.).

მოსწავლეები, მასწავლებლის თხოვნით, კლასში გააჟღერებენ თავიანთ მუსიკალურ კომპოზიციას.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განმეორებით გააჟღერონ თავიანთი კომპოზიციები, თან ტაშით და დათვლით აჰყვნენ მათ. შემდეგ სიტყვიერად დააფიქსირონ, რამდენზე ითვლიდნენ ამ დროს.

გაკვეთილები 10–12. ტელეგადაცემების ვოკალური მუსიკალური ქუდი

გაკვეთილი 10

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სახელმძღვანელოში მოცემული სურათის მიხედვით განსაზღვრონ, რა ხასიათის ტელეგადაცემას უყურებენ ოჯახის წევრები, როგორი ხასიათისა და განწყობის მუსიკალური ქუდი მოუხდებოდა ამ გადაცემას. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ორ ვოკალურ მუსიკალურ ქუდს. 1. „რა, სად, როდის“ ; 2. „კარუსელი“. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განსაზღვრონ, რა ჟანრის ტელეგადაცემებს მოუხდებოდა ისინი. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები მოიფიქრებენ რაიმე გადაცემის სახელწოდებას, შემდეგ კი წაიმღერებენ რაიმე მოტივს, რომელიც, მათი აზრით, მოუხდება ამ გადაცემას.

აქტივობა 2 (7 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს სახელმძღვანელოში (გვ.9) გაეცნონ ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკის განმარტებას და განსაზღვრონ, ვოკალურია თუ ინსტრუმენტული მათ მიერ მოსმენილი მუსიკალური ქუდები.

აქტივობა 3 (8 წთ).

მოსწავლეები იმსჯელებენ, რომელი მუსიკალური ქუდი უფრო ეფექტურია: ვოკალური თუ ინსტრუმენტული. ისინი გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს და შეეცდებიან დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.

აქტივობა 4 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ორ ქართულ სიმღერას **(რ. ლაღიძე, „სიმღერა თბილისზე; მ. ელოშვილი, „მზის ხომალდი")** და სთხოვს განსაზღვრონ, რომელი გადაცემის მუსიკალურ ქუდად შეიძლება გამოდგეს ისინი. მოსწავლეები იმსჯელებენ და გამოთქვამენ საკუთარ აზრებს. შემდეგ მასწავლებელი მღერის **მ. ელოშვილის სიმღერას „მზის ხომალდი'')** მოსწავლეები აჰყვებიან და ამ მეთოდით შეისწავლიან სიმღერას.

გაკვეთილი 11

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მუშაობა ჯგუფებში: ჯგუფებმა უნდა უნდა შექმნან რომელიმე ჟანრის ტელეგადაცემის მუსიკალური ქუდი (მაგ.: სპორტული, საბავშვო და ა.შ.) მასწავლებლის მიერ გადაგზავნილი მუსიკალური ქუდების ფრაგმენტების გამოყენებით ისინი თანხლების სახით გამოიყენებენ კომპიუტერულ ბიტებს, ხმის ეფექტებს, ტემბრებს, რომლებსაც შეუსაბამებენ მასწავლებლის გადმოგზავნილ მუსიკალური ქუდების თემებს.

აქტივობა 2 (10 წთ.).

ჯგუფებმა თავიანთი ნამუშევრები უნდა წარადგინონ კლასის წინაშე.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მოსწავლეები განმეორებით მოისმენენ ჯგუფების მიერ შექმნილ კომპოზიციებს და მასწავლებელთან ერთად აჰყვებიან თვლითა და ტაშით. დაადგენენ, რამდენზე ითვლიდნენ ტაშის დაკვრის დროს.

გაკვეთილი 12

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ორ სიმღერას: 1. **გ. ცაბაძე, „ბედნიერი დილა''. 2. ს. ცინცაძე, „სიმღერა შავ კატაზე'',** მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ, რომელი სიმღერა შეიძლება შეირჩეს, როგორც ტელეგადაცემის ვოკალური მუსიკალური ქუდი და როგორ გადაცემას მოუხდება ეს სიმღერა. მოსწავლეები იმსჯელებენ გამოთქვამენ ვარაუდებს და დაასახელებენ ტელეგადაცემების სათანადო ჟანრებს. მაგ. ,,ბედნიერი დილა'' გამოდგება საბავშვო გადაცემის მუსიკალურ ქუდად, ხოლო ,,სიმღერა შავ კატაზე'', შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას ცხოველებზე გადაცემის მუსიკალურ ქუდად. მასწავლებელი სთხოვს მათ, მოიფიქრონ ამ გადაცემათა სახელწოდებები.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებელი მღერის ს. ცინცაძის ,,სიმღერას შავ კატაზე'' და სთხოვს მოსწავლეებს აჰყვნენ მას. ამგვარი მეთოდით მოსწავლეები შეისწავლიან სიმღერის ერთ სტროფს და მისამღერს.

გაკვეთილი 13–16. მუსიკა სატელევიზიო ანონსის დროს

გაკვეთილი 13

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

ამ ეტაპზე (გაკვეთილები 11-19) მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მიმართავს მოთელვით რიტმულ სავარჯიშოებს ძირითადად სამწილადი მეტრით (მოთელვითი სავარჯიშოების ნიმუშები იხილეთ მოსწავლის სახელმძღვანელოში, გვ. 9-11), თუმცა მასწავლებელი მოთელვის დროს სამწილადიდან მოულოდნელად გადადის ორწილად მეტრზე და შემდეგ ასევე მოულოდნელად უბრუნდება სამწილად მეტრს. მოსწავლეები შეუჩერებლად უნდა აჰყვნენ მას. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ შეიგრძნონ მეტრი, მასწავლებელი მახვილით გამოყოფს ძლიერ დროს. ყოველ მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი თანდათან გაართულებს მოთელვითი სავარჯიშოების რიტმულ ფიგურაციებს. მოსწავლეები ასევე შეუჩერებლად უნდა აჰყვნენ მას. სავარჯიშოების შესრულების დროს მასწავლებელი მოულოდნელად ცვლის ტემპს, რიტმულ ფიგურაციას, მოსწავლეები შეუჩერებლად აჰყვებიან მას.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მუშაობა წყვილებში: მოსწავლეები იმსჯელებენ სახელმძღვანელოში, გვ. 9, მოცემული სურათების შესახებ. ისინი გამოთქვამენ ვარაუდებს: რა არის გამოსახული სურათებზე, რა ჟანრის ტელეგადაცემებია, როგორი მუსიკალური ქუდები მოუხდება ამ გადაცემებს... შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია მუსიკალური ანონსის შესახებ: „მუსიკალური ანონსი არის რაიმე მოვლენის, მაგ., კონცერტის, სპექტაკლის, კინოფილმის, რეკლამის, ტელეგადაცემის და ა.შ – წინასწარი შეტყობინება“. წყვილებმა უნდა იმსჯელონ, რა მნიშვნელობა აქვს მუსიკალურ ანონსს ტელეგადაცემის აღქმის თვალსაზრისით. მასწავლებელი უპასუხებს კითხვებს, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეთ მოსწავლეებს მუსიკალურ ანონსთან დაკავშირებით.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მოსწავლეები განაგრძობენ მუშაობას წყვილებში: მასწავლებელი სთავაზობს მათ ორი განსხვავებული ხასიათის ტელეგადაცემის ანონსს (საინფორმაციო გადაცემის, მაგ.: კურიერის ან მოამბის და ნებისმიერი თოქშოუს ანონსი) და სთხოვს, ყურადღება მიაქციონ, როგორ ჟღერს მუსიკა ანონსის დასაწყისში და გადაცემის წამყვანის მიერ ტექსტის წარმოთქმის დროს. მასწავლებელი დასვამს კითხვებს: რა განსხვავებაა ამ ორი ფრაგმენტის გახმოვანებებს შორის და რა მიზეზებმა განაპირობა ასეთი განსხვავება.

აქტივობა 3 (10 წთ.).

ტელეგადაცემათა ანონსების განმეორებითი მოსმენის დროს მოსწავლეები (წყვილები) გამოთქვამენ მოსაზრებებს მასწავლებლის მიერ დასმული საკითხების ირგვლივ, აფიქსირებენ თავიანთ დამოკიდებულებას და აანალიზებენ ტელეგადაცემების მოსმენილ მუსიკალურ ანონსებს.

გაკვეთილი 14

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სურათებს და განსაზღვრონ, რომელი გადაცემების ანონსზე მიგვანიშნებს ეს სურათები.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებელი მოასმენინებს მოსწავლეებს განსხვავებული ხასიათის გადაცემების ანონსს და სთხოვს, შეადარონ წინა გაკვეთილზე მოსმენილი გადაცემებისა და ახლახან მოსმენილი

გადაცემების ანონსები, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის მუსიკალური გაფორმების თვალსაზრისით. მასწავლებელი დაფაზე დახაზავს ვენის დიაგრამას და მოსწავლეთა პასუხების გათვალისწინებით შეავსებს მას.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებლი დაუსვამს მოსწავლეებს კითხვას: რა ფუნქცია აკისრია მუსიკას ანონსის დროს? მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს და ცდილობენ მოიყვანონ არგუმენტები თავიანთი პასუხების დასასაბუთებლად. მოსწავლეთა პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს თავიანთი მსჯელობის შედეგი დააფიქსირონ დასკვნით, რომ მუსიკა ანონსის დროს გვაძლევს რაიმე სიგნალს იმის შესახებ, რომ დაიწყო ესა თუ ის გადაცემა.

გაკვეთილი 15

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს რამდენიმე გადაცემის ანონსს და სთხოვს მათ წყვილებში იმსჯელონ: რა ფუნქცია აკისრია მუსიკა იმ დროს, როდესაც არ ისმის ტექსტი და იმ დროს, როცა საუბრობს დიქტორი?

აქტივობა 2 (15 წთ.).

მოსწავლეები განმეორებით მოისმენენ შეთავაზებულ ანონსებს, წყვილები იმსჯელებენ მოსმენილი მასალის შესახებ, გამოთქვამენ ვარაუდებს და მსჯელობის გზით მივლენ დასკვნამდე, რომ დიქტორის საუბრის დროს მუსიკას ფონის ფუნქცია ეკისრება.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ისაუბრებენ, როგორ იმოქმედა ანონსის მოსმენილმა მუსიკამ მათ ემოციაზე. იგი ყველა მოსწავლეს აძლევს საშუალებას გამოთქვას საკუთარი აზრი.

გაკვეთილი 16

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეაჯამებს საკითხს. ის განმეორებით უჩვენებს და მოასმენინებს მოსწავლეებს რამდენიმე ანონსის მუსიკას. მოსწავლეები ამოიცნობენ, რომელი გადაცემებია, მსგავსია თუ არა ამ გადაცემების ანონსები მუსიკალური გაფორმების თვალსაზრისით. იმსჯელებენ, გამოთქვამენ მოსაზრებებს, მათი აზრით, რომელია უკეთესი და შეეცდებიან დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები მსჯელობენ და აცნობიერებენ, როგორ იცვლება მუსიკის ხასიათი, როდესაც მას ფონის ან მოხმობის ფუნქციები აკისრია.

გაკვეთილები 17–19. სატელევიზიო გადაცემის ანონსი – კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

გაკვეთილი 17

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს ფრაგმენტს ბეთჰოვების ნაწარმოებიდან „ელიზ-

ეს“. შემდეგ იგი ეკითხება მათ: ეცნობათ თუ არა ეს ნაწარმოები, ადრე ხომ არ მოუსმენიათ სადმე? მაგალითად, მუსიკის გაკვეთილებზე, რომელიმე კინოფილმში ან სატელევიზიო გადაცემაში? (მოწავლეებს ამ ნაწარმოების ფრაგმენტი მოსმენილი აქვთ მუსიკის გაკვეთილზე მესამე კლასში, გაკვეთილი, „სკოლის შემდეგ“). შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ეს ნაწარმოები ეკუთვნის დიდ გერმანელ კომპოზიტორს ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს. მუსიკის გაკვეთილებზე ჩვენ გავაკეთებთ სატელევიზიო გადაცემას მასზე.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მუშაობა ჯგუფებში:

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: სატელევიზიო გადაცემის გაკეთებამდე ჩვენ უნდა გავაკეთოთ ანონსი ტელეგადაცემისათვის დიდ გერმანელ კომპოზიტორზე – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენზე. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები წაიკითხავენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ტექსტს:

„200 წლის წინ გერმანიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. მან ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემები. 6 წლისამ უკვე სოლო კონცერტი გამართა. პირველი საკუთარი ნაწარმოები კი 12 წლისამ დაწერა.

ბეთჰოვენს ახალგაზრდობიდანვე სმენის დაქვეითება დაეწყო და ბოლოს სულ დაყრუვდა. როგორ გგონიათ, შეიძლება სმენადაქვეითებულმა ადამიანმა შექმნას მუსიკა? მან თავისი უკანასკნელი სიმფონია სრულიად ყრუმ დაწერა. ამ ნაწარმოების შესრულებისას კონცერტზე მყოფ ავტორს არ ესმოდა მსმენელის აღფრთოვანებული ოვაციები. მიუხედავად ამისა, მას არ დაუკარგავს სიცოცხლის ხალისი, რაც შესანიშნავად აისახა მის მუსიკალურ შემოქმედებაში.

ბეთჰოვენის მუსიკა ძალიან პოპულარული იყო. მის მუსიკას დიდი სიამოვნებითა და აღფრთოვანებით ისმენდნენ მსმენელები. ნიშანდობლივია, რომ 1912 წელს, ყველაზე დიდი ინგლისური სამგზავრო გემის „ტიტანიკის“ კატასტროფის ჟამს, გემის სიმფონიური ორკესტრი გემბანზე განლაგდა. ორკესტრმა ბეთჰოვენის „გმირული სიმფონია“ შეასრულა. ტიტანიკი ნელა და დიდხანს იძირებოდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჟღერდა ბეთჰოვენის მუსიკა.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები გადაცემის ანონსისათვის სახელმძღვანელოს საინფორმაციო ტექსტის ყოველი აბზაციდან შეარჩევენ მათთვის საინტერესო, მნიშვნელოვან, ძირითად წინადადებებს და შეადგენენ ტექსტს გადაცემის ანონსისათვის.

გაკვეთილი 18

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მოსწავლეები პერსონალურ კომპიუტერებში გააკეთებენ შერჩეული წინადადებებით შედგენილი ტექსტის აუდიოჩანაწერს. მასწავლებელი მიუთითებს მათ, რა ინტონაციით უნდა წაიკითხონ ტექსტი. მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთ ხმას შესძინონ სასურველი ტემბრი, რომელიც მოუხდება ჩაწერილ ტექსტს (ქალის, მამაკაცის და ა.შ.). მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეების მიერ ჩაწერილი ტექსტი დაიყოფა ფრაზებად. მასწავლებელი ბეთჰოვენის ნაწარმოებებიდან მოამზადებს მუსიკალურ ტრეკებს. კომპიუტერული პროგრამის – „აუდასიტი“ – მეშვეობით იგი ბეთჰოვენის ნაწარმოებებიდან ამოჭრის ისეთ მუსიკალურ თემებს, რომლებიც ყველაზე შთამბეჭდავი იქნება მოსწავლეებისათვის და მიესადაგება ტექსტის ამა თუ იმ ფრაზას.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სემპლების სახით ბუკებში გადაუგზავნის მუსიკალურ ფრაზებს „მთვარის სონატიდან“, „ელიზედან“, მე-9 სიმფონიიდან (გუნდი), ,,გმირული სიმფონიიდან'', ასევე აპლოდისმენტებისა და ზღვის ხმაურის ხმებს. მოსწავლეები ააჟღერებენ გადაგზავნილ სემპლებს, მოუსმენენ ბეთჰოვენის მუსიკის ფრაგმენტებს და განსაზღვრავენ, ანონსის ტექსტის რა ნაწილში რომელი მუსიკალური ფრაგმენტი გაიჟღერებს.

გაკვეთილი 19

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებლის თხოვნით ჯგუფები გააკეთებენ ტელეგადაცემის ერთ-ორ წუთიან მუსიკალურ ანონსს. ტექსტის ყოველ ფრაზას დაურთავენ მუსიკალურ ფონს მასწავლებლის მიერ გადმოგზავნილი სემპლების სახით.

აქტივობა 2 (20 წთ.).

ჯგუფები თავიანთ ნამუშევრებს წარუდგენენ კლასს.

გაკვეთილები 20–21 სატელევიზიო გადაცემა – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

გაკვეთილი 20

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მუშაობა ჯგუფებში: მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: ამჯერად გავაკეთოთ ტელეგადაცემა დიდ გერმანელ კომპოზიტორზე – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენზე. მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ მე-15 გაკვეთილის ტექსტი, მოიფიქრონ, რა სახით და როგორ წაიკითხავენ ტექსტს, როგორ მიაწვდიან ინფორმაციას ტელეგადაცემის მაყურებელს.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები კომპიუტერებში გააკეთებენ ტექსტის აუდიოჩანაწერს.

გაკვეთილი 21

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მასწავლებელი ჯგუფებს გადაუგზავნის მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტების სემპლებს, ჯგუფები ტექსტის თითოეულ აბზაცს შეუსაბამებენ მასწავლებლისაგან მიღებულ სემპლებს.

აქტივობა 2 (20 წთ.).

ჯგუფები თავიანთ ნამუშევრებს წარუდგენენ კლასს.

გაკვეთილები 22–25. სატელევიზიო გადაცემის ანონსი – კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე

გაკვეთილი 22

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

ამ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ძირითადად მიმართავს მოთელვით რიტმულ სავარჯიშოებს ოთხწილადი მეტრით, ის მოულოდნელად, შეუჩერებლად გადადის სამ-

წილადზე, ორწილადზე და ისევ ოთხწილად მეტრზე. მოსწავლეები ასევე შეუჩერებლად აჰყვებიან მას. მოთელვითი სავარჯიშოების ნიმუშები იხილეთ მოსწავლის სახელმძღვანელოში, გვ. 12-13. ყოველ მომდევნო გაკვეთილზე მასწავლებელი თანდათან გაართულებს მოთელვით სავარჯიშოებს. სავარჯიშოების შესრულების დროს მასწავლებელი მოულოდნელად ცვლის ტემპს, რიტმულ ფიგურაციას, მოსწავლეები შეუჩერებლად აჰყვებიან მას.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს რ. ლაღიძის „სიმღერას თბილისზე" ფრაგმენტს. შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს: გეცნობათ თუ არა მოსმენილი სიმღერა? სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ განვლილ გაკვეთილებზე მოსმენილ სიმღერას. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, კიდევ რის თქმა შეგიძლიათ ამ სიმღერასთან დაკავშირებით? (სავარაუდო პასუხები: სიმღერა აღიარებულია თბილისის ჰიმნად, თავისუფლების მოედანზე საკრებულოს შენობის თავზე არსებულ დიდ საათზე ყოველი სრული საათის შესრულების დროს ჟღერს ამ სიმღერის მელოდია). მასწავლებელი კითხვების მეშვეობოთ საუბარს წარმართავს ისე, რომ მოსწავლეებმა შეიტყონ ზოგადი ინფორმაცია სიმღერის ავტორის – კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის შესახებ. შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: გავაკეთოთ სატელევიზიო გადაცემის ანონსი, შემდეგ კი გადაცემა ქართველ კომპოზიტორზე – რევაზ ლაღიძეზე.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მუშაობა ჯგუფებში: მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები წაიკითხავენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტს: „რევაზ ლაღიძე გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. მან მუსიკის წერა უკვე სკოლაში სწავლის დროს დაიწყო. იგი სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების ავტორია. მისი მელოდიები დიდად შეიყვარა ქართველმა ხალხმა.

რევაზ ლაღიძე მთელი თავისი არსებით იყო საქართველოს მოტრფიალე და მომღერალი. სამშობლოს მშვენიერებით აღფრთოვანებულ შემოქმედს ფეხით ჰქონდა შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე. მან საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები იცოდა და სწორედ ხალხური მუსიკის საფუძველზე შექმნა თავისი ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი.

რევაზ ლაღიძის მუსიკალური მემკვიდრეობიდან უმნიშვნელოვანესია მისი უკვდავი სიმღერები, რომლებიც იშვიათი მელოდიურობითა გამოირჩევა. მან დაწერა სიმღერები 30-ზე მეტი კინოფილმისთვის და სწორედ ეს სიმღერები გახდა ამ ფილმების წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი. მის სიმღერებს დღესაც დიდი სიამოვნებით მღერიან ქართველი შემსრულებლები.

რევაზ ლაღიძე სიცოცხლეშივე მოესწრო დიდ აღიარებას არა მარტო სამშობლოში, არამედ საზღვარგარეთაც.

აქტივობა 3 (10 წთ.).

მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის ყოველი აბზაციდან შეარჩევენ მათთვის საინტერესო, მნიშვნელოვან, ძირითად წინადადებებს და შეადგენენ ტელეგადაცემის ანონსის ტექსტს.

გაკვეთილი 23

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მოსწავლეები პერსონალურ კომპიუტერებში გააკეთებენ სახელმძღვანელოს ინფორმაციიდან შედგენილი ტექსტის აუდიოჩანაწერს. ისინი მოიფიქრებენ, რა ინტონაციით უნდა წაიკითხონ ტექსტი. მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთ ხმას შესძინონ სასურველი ტემბრი, რომელიც მოუხდება ჩაწერილ ტექსტს. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეების მიერ ჩაწერილი ტექსტი დაიყოფა ფრაზებად.

აქვე მასწავლებლის მიერ მომზადდება მუსიკალური ტრეკები რევაზ ლაღიძის ნაწარმოებებიდან. მასწავლებელი შეარჩევს ისეთ მუსიკალურ ფრაზებს, რომლებიც იქნება ყველაზე შთამბეჭდავი მოსწავლეებისათვის და მიესადაგება ტექსტის ამა თუ იმ ფრაზას.

აქტივობა 2 (20 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს სემპლების სახით გადაუგზავნის მუსიკალურ ფრაზებს შემდეგი ნაწარმოებებიდან: 1. „ჰიმნი დედაენას“, 2. სიმფონიური სურათი „საჭიდაო“, 3. „სიმღერა თბილისზე“, 4. „ჩემო კარგო ქვეყანა“, 5. „სიმღერა მეგობრობაზე“ კინოფილმიდან „კეთილი ადამიანები“. აგრეთვე აპლოდისმენტების ხმებს და სთხოვს მოსწავლეებს, ააჟღერონ გადაგზავნილი ხმები. მოსწავლეები გააჟღერებენ ხმებს და შეარჩევენ იმ სემპლებს, რომლებიც მიესადაგება მათ მიერ შედგენილ მუსიკალურ ანონსს.

გაკვეთილი 24

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (20 წთ.).

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში: მასწავლებლის თხოვნით ისინი გააკეთებენ ტელეგადაცემის – „რევაზ ლაღიძე“ ერთ-ორ წუთიან ანონსს: ტექსტის ყოველ ფრაზას თან უნდა ახლდეს მუსიკალური ფონი, მოსწავლეები მასწავლებლის მიერ გადაგზავნილი სემპლებიდან ააჟღერებენ შესაბამის მასალას. დიქტორის ტექსტის შეჩერების შემთხვევაში მოსწავლეები უფრო ხმამაღლა გააჟღერებენ მუსიკალურ ფაქტურას.

აქტივობა 2 (20 წთ.).

ჯგუფები კლასს წარუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს.

გაკვეთილი 25

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (15 წთ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს რ. ლაღიძის სიმღერას „მეგობრობაზე“ ერთ სტროფს და სთხოვს მათ, განმეორებით მოსმენის დროს მასთან ერთად ტაშით და თვლით აჰყვნენ სიმღერას. მასწავლებელი განმეორებით მოასმენინებს მოსწავლეებს იმავე მასალას. იგი დაუკრავს ტაშს და დათვლის სიმღერის მეტრის შესაბამისად (ოთხწილადი მეტრი). მოსწავლეები ტაშითა და დაითვლით აჰყვებიან მას. შემდეგ მასწავლებელი იმღერებს სიმღერის ერთ სტროფს მისამღერით, მოსწავლეები შეუჩერებლივ უნდა აჰყვნენ მას. ამ მეთოდით სიმღერის შესწავლის შემდეგ მასწავლებლის მითითებით მოსწავლეთა რიგები თანმიმდევრულად შეასრულებენ სიმღერას: I რიგი – სიმღერის ერთ სტროფს, II რიგი – მისამღერს. შემდეგ კი რიგები გაცვლიან პარტიებს. შესაძლებელია, მასწავლებელმა მოიფიქროს სიმღერისა და მისი მისამღერის რიგებს შორის დანაწილების სხვა სქემაც.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მუშაობა ჯგუფებში: მასწავლებელი მოსწავლეებს გადაუგზავნის შესწავლილი სიმღერის მისამღერს სემპლების სახით და სთხოვს მათ, საკუთარი შეხედულებისამებრ, გადაგზავნილ სემპლებს შეუსაბამონ კომპიუტერულ პროგრამაში არსებული ბიტი, შექმნან მუსიკალური კომპოზიცია და თავიანთ ნამუშევარს აჰყვნენ ტაშითა და დათვლით.

აქტივობა 3 (10 წთ.).

ჯგუფის წევრები კლასის წინაშე რიტმული ტაშის თანხლებით წარადგენენ თავიანთ კომპოზიციას. მათ აჰყვებიან სხვა ჯგუფების წევრებიც.

გაკვეთილი 26 . შემაჯამებელი

რესურსი: მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნი, მოსწავლის წიგნი, კომპიუტერი/მოსასმენი აპარატურა, მოსწავლეთა პერსონალური კომპიუტერები, ,,ბუკები'', აუდიომასალა.

მოთელვა 5 წთ.

აქტივობა 1 (10 წთ.).

მასწავლებელი კლასს დაყოფს ჯგუფებად. მოსწავლეებს მოასმენინებს წინა გაკვეთილებზე მოსმენილი ნაწარმოებების **(ლ. ანდერსონი, „ციგით სრიალი'', რ. ლაღიძე, „საჭიდაო'', ლ.ვ. ბეთჰოვენი, „მთვარის სონატა'')** ფრაგმენტებს და სთხოვს მათ, ამოიცნონ, ჩაინიშნონ და პრეზენტაციის დროს დაასახელონ, რომელი ნაწარმოებების ფრაგმენტები მოისმინეს.

აქტივობა 2 (15 წთ.).

მასწავლებელი ჯგუფებს მოასმენინებს რამდენიმე სიმღერის ფრაგმენტს **(რ.ლაღიძე „სიმღერა თბილისზე'', „სიმღერა მეგობრობაზე'', ი.გურგულია, „ოდელია დელა'', ს. ცინცაძე, „სიმღერა შავ კატაზე'')** და სთხოვს ჯგუფებს: ამოიცნონ სიმღერები, ჩაინიშნონ, რა თანამიმდევრობით გაჟღერდა ეს სიმღერები. შემდეგ შეარჩიონ ერთ-ერთი სიმღერა და პრეზენტაციის დროს ერთობლივად გაიმღერონ.

აქტივობა 3 (15 წთ.).

პრეზენტაცია: ჯგუფები დაასახელებენ, რომელი ნაწარმოებების აუდიოფრაგმენტები მოისმინეს და რა თანმიმდევრობით; რა სიმღერები მოისმინეს და როგორი თანამიმდევრობით, შემდეგ გუნდურად გაიმღერებენ შერჩეულ სიმღერას.

შეფასების რუბრიკები:

1. **მოსმენილის ანალიზი ;**

კრიტერიუმი	**დამაკმაყოფილებელი**	**კარგი**	**ძალიან კარგი**
მოსმენილის ანალიზი	უსმენს მუსიკალური ფრაგმენტს, ამოიცნობს, თუმცა უჭირს მახასიათებლების დადგენა, მსგავსება-განსხვავების განსაზღვრა.	უსმენს მუსიკალური ფრაგმენტს, ამოიცნობს, უმეტესწილად სწორად ასახელებს მახასიათებლებს, ადგენს მსგავსება-განსხვავებებს და ალაგებს თანმიმდევრობით	უსმენს მუსიკალური ფრაგმენტს, მსჯელობს და სწორად ასახელებს მახასიათებლებს , ადგენს მსგავსება-განსხვავებებს და ალაგებს თანმიმდევრობით.
მელოდიის/სიმღერის გამღერება	უჭირს მარტოს ნაცნობი მელოდიის/სიმღერის გამღერება , თუმცა ჯგუფთან ერთად აქვს მცდელობა იმღეროს.	თითქმის ყოველთვის სწორად მღერის ნაცნობ მელოდიას/ სიმღერას, მარტო და ჯგუფთან ერთად.	ყოველთვის დამაჯერებლად მღერის ნაცნობ მელოდიას/ სიმღერას, შეუძლია სოლისტის როლში ჩადგეს, მღერის ჯგუფთან ერთად.

2. **ჯგუფური მუშაობის შეფასების კრიტერიუმები**

კრიტერიუმი	**დამაკმაყოფილებელი**	**კარგი**	**ძალიან კარგი**
1.მზაობა ჯგუფური მუშაობისათვის	შესასრულებელი სამუშაოს შესახებ მისი ცოდნა ზედაპირულია. ხშირად უშვებს შეცდომებს	შესასრულებელი სამუშაოსათვის მომზადებულია. იშვიათად უშვებს შეცდომებს.	შესასრულებელი სამუშაოსათვის კარგად არის მომზადებული. არ უშვებს შეცდომებს
2.ჯგუფური სამუშაოს წარმართვა	ჯგუფთან ზოგჯერ თანამშრომლობს კონსტრუქციულად.	ჯგუფთან მისი თანამშრომლობა უმეტესწილად კონსტრუქციულია.	ჯგუფთან მისი თანამშრომლობა ყოველთვის კონსტრუქციულია.
3. სამუშაოს სწორად და დროულად შესრულება	სამუშაოს ნაწილობრივ ასრულებს დროულად, მაგრამ არამიზანმიმართულად ან პირიქით.	სამუშაოს ხშირ შემთხვევაში ასრულებს დროულად, და მიზანმიმართულად.	სამუშაოს ყოველთვის ასრულებს დროულად და მიზანმიმართულად
4. თანამშრომლობა	არ იზიარებს სხვის აზრებს. ვერ თანამშრომლობს	ნაწილობრივ მიდის კომპრომისზე. ხშირ შემთხვევაში თანამშრომლობს.	აზრების შეჯერების შემდეგ შეუძლია კომპრომისზე წასვლა. თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან.